

დღგ-ის ჩათვლა სასტუმროს მომსახურებაზე 1180

ფაქტობრივი გარემოებები

არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება საქართველოში ახორციელებს ავიაბილეთების რეალიზაციას და სხვა საქმიანობას, რაც საჭიროა არარეზიდენტი საწარმოს მიერ საჭირო მომსახურების უზრუნველსაყოფად.

მუდმივ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საქართველოს რეზიდენტებთან, რომლებიც სასტუმროს ნომრებით უზრუნველყოფენ არარეზიდენტი (სათაო) საწარმოს დაქირავებულ პირებს (საერთაშორისო საავიაციო რეისების განმარტებულ ეკიპაჟის წევრებს) სასტუმროს მომსახურებაზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები გამოწერილია მუდმივი დაწესებულების სახელზე

მუდმივი დაწესებულება ახორციელებს აღნიშნულ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებში დაფიქსირებული დღგ-ის თანხის ჩათვლას

შეფასება

ჩასათვლელი დღგ არის დღგ-ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასანდელია ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით საქონლის შეძენისას, მომსახურების მიღებისას (სსკ-ის 174 - ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი)

დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონელი ან/და მომსახურება გამოიყენება ან გამოყენებული იქნება დასაბეგრ ოპერაციებში, გარდა ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა

არარეზიდენტმა საწარმომ შესაძლებელია აღნიშნულ მომსახურებაზე მიიღოს დღგ-ის ჩათვლა (მათ შორის საქართველოში რეგისტრირებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით), იმის გათვალისწინებით, რომ არარეზიდენტი საწარმოს დაქირავებული პირებისათვის სასტუმროს ნომრებით უზრუნველყოფა დაკავშირებულია მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანის მომსახურებასთან, რაც სსკ-ის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია დღგ-ისაგან

ღონისძიებები

პირს საგადასახადო პასუხისმგებლობა არ დაეკისრება